წერილის ნომერი:**06-1082334176**
თარიღი: **07/12/2023**

ადრესატი:

კობა მურადაშვილი
დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ბატონო კობა,

გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის ,, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის'' 130-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის დარღვევის გამო, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგარახლოში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის უნებართვო მშენებლობის ფაქტის გამოვლენის გამო (GPS კოორდინატები: 429,545,4,581,329; 429,539,4,581,323;), მოქალაქე რაფიკ ორუჯოვი(პ/ნ [redacted] 2023 წლის 3 ნოემბრის ბრძანების(ბ108. 1082330719) საფუძველზე დაჯარიმდა 1000(ათასი) ლარის ოდენობით.

2023 წლის 22 და 23 ნოემბერს ფოსტის მეშვეობით რაფიკ ორუჯოვს, მის მიერ მითითებულ მისამართზე(ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლისის ტბის დასახლება N3) გაეგზავნა დაჯარიმების წერილი, რომელიც ადრესატს არ ჩაბარდა და უკან დაბრუნდა.

გთხოვთ უზრუნველყოთ აღნიშნული დარღვევის ფაქტის დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნება, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს ჩაბარებულად ჩაითვლება.

აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად გთხოვთ, აცნობოთ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს.

პატივისცემით,

მიხეილ ბერუაშვილი

მუნიციპალური ინსპექციის სამსახური-ადმინისტრაციული და საჯარო ზედამხედველობის განყოფილება-პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მუნიციპალური ზედამხედველობის საკითხებში